პოლონელმა კოლეგებმა საინტერესო გამოცდილება გაგვიზიარეს

გვესაუბრება ველისციხის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი ნანა ნიკოლაშვილი:

_ 10 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება ბევრი არაა, თუმცა არც ცოტაა. წარმატების მისაღწევად არც ძალა დამიშურებია და არც ენერგია. ჩემი წარმატება უმთავრეს საზომად ჩემი მოსწავლეების მიღწევები მიმაჩნდა და მიმაჩნია. მიუხედავად გარკვეული შედეგებისა, როგორც პედაგოგს ყოველთვის მაქვს უკმარისობის განცდა. ვფიქრობდი, რომ საზღვარგარეთ სტაჟირება და სხვა ქვეყნების სკოლების გამოცდილების გაზიარება ჩემს საქმიანობას ძალიან წაადგებოდა. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქართლოსის" პროექტმა ,,დემოკრატიის სკოლა" საშუალება მომცა საინტერესო ტრენინგების შემდეგ, სექტემბერში პოლონეთის სკოლების გამოცდილებას გავცნობოდი.

ბევრი ჩემი კოლეგისაგან მსმენია: _ მე ვიყავი X სახელმწიფოში სტაჟირებაზე! და ჩემს კითხვაზე: როგორ აფასებთ იქაურ განათლების სისტემას? რა გამოცდილება მიიღეთ? პასუხი უმეტესად ერთნაირი იყო: _ ძალიან მოწესრიგებულია ყველაფერი, აღფრთოვანებული ვარ!

_ იგივე ემოცია დამეუფლა, როცა პოლონეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებს ვესტუმრეთ, თუმცა მინდა, მკითხველს უფრო დეტალურად მოვუთხრო ჯეჟონოვის გაერთიანებული N3 გიმნაზიის, ვროცლავის N7 საჯარო ლიცეუმის და ფონდ ,,მშვიდობის სახლში" გამართული შეხვედრების შესახებ.

გარდა იმისა, რომ სკოლაში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურაა, ყველა სკოლის დერეფანში გამოფენილია ხელით მოქარგული გერბი, საკმაოდ დიდი და თვალსაჩინო სივრცე აქვს დათმობილი სკოლის მოსწავლეების მიერ სხვადასხვა კონკურსებში მოპოვებულ თასებს, სიგელებსა და სერტიფიკატებს. განსაკუთრებით მომეწონა დერეფანში გამოფენილი სკოლის სხვადასხვა წლების კურსდამთავრებულთა ფოტოსტენდები. ეს სკოლის იტორია და წარმატებებია, რაც მნახველს უამბობს განვლილზე მოსწავლეებს კი უმაღლებს მოტივაციას წარმატების მისაღწევად.

დერეფნებში თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის გეგმა- ნახაზი ექსტრემალურ სიტუაციაში შენობის სწრაფად დასატოვებლად; უნდა ითქვას, რომ იგივე დანიშნულებით გეგმები ჩვენს სკოლებშიც არის გამოფენილი, თუმცა ჩვენებური ნახაზის წაკითხვა და გააზრება მშვიდ სიტუაციაში უფროსისთვისაც კი ძნელია და წარმომიდგენია, როგორ გამოიყენებს მას მოსწავლე სტრესულ სიტუაციაში.

ინფრასტრუქტურს თვალსაზრისით, მომეწონა ის, რომ ყველა საკლასო ოთახში არის სველი წერტილი. კაბინეტებში არსებობს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, საკლასო ოთახები სავსეა ისეთი კუთხეებით, სადაც ღიად არის გამოფენილი სასწავლო რესურსები. თითოეულ საკლასო ოთახში იგრძნობა მზრუნველი და თავის საქმიანობაზე შეყვარებული ადამიანის უზარმაზარი შრომის შედეგი: ხასხასა ქოთნის ყვავილები, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, მასწავლებლების მიერ სპეციალურად წლების განმავლობაში საგანმანათლებლო საჭიროებებისათვის შეძენილი სათამაშოების კოლექციები.

სასწავლო გარემოს გარდა, დიდი ყურადღებას მიიქცია თვითონ სწავლების საფეხურებმა. როგორც საქართველოში, პროცესი იქაც სამ საფეხურად არის დაყოფილი, თუმცა, მაინც განსხვავებულია ჩვენი სკოლებისაგან. კერძოდ, ლიცეუმში, რომელიც დაახლოებით ჩვენი სკოლის საშუალო საფეხურს უთანაბრდება, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა მათთვის მისაღები მაპროფილებელი საგნების მიმართულებით, ანუ პროფესიის არჩევა სკოლის პერიოდშივე ხდება.

ასევე ძალიან მომეწონა სადამრიგებლო პროგრამაში გამოყენებული მეთოდები: კერძოდ, პროექტული სწავლება, გაკვეთილების ჩატარება მუზეუმებში, გასვლითი გაკვეთილები, სადაც მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების უნარ-ჩვევების გამომუშავებას არაფორმალურ გარემოში.

მინდა, ყურადღება გავამხვილო სკოლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სკოლებსა და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს შორის თანამშრომლობაზე. ეს თანამშრომლობა ორივე მხრიდან არის ინიცირებული. მაგალითისათვის შემიძლია მოვიყვანო პროგრამები, რომელთა პრეზენტაციები მოვისმინეთ როგორც სკოლებისაგან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებისაგან. მაგალითად: ,,სკოლა ქალაქში"; ,, სამშვიდობო განათლება" ,,მრავალკუტურული განათლება"; ,,გლობალური განათლება".

ძალიან მომეწონა განსხვავებული მიდგომები საგნის სწავლებაში. მაგალითად, ისტორიაში მსოფლიო და სახელმწიფოს ისტორიის საკითხებს ასწავლიან საკუთარ დასახლებაში მცხოვრები ცნობილი ადამიანების ცხოვრების მაგალითზე და სახელმწიფოში მცხოვრები ცნობილი გმირების ბიოგრაფიის მაგალითზე, ხოლო მსოფლიო ისტორიას ადგილობრივი ისტორიის კონტექსტში, რაც, რა თქმა უნდა, მოსწავლეებში აყალიბებს პატრიოტულ უნარ-ჩვევებს, მოქალაქეობრივი ღირებულებებს და ფასეულობებს, ძირეულად ცვლის, ავითარებს სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს მაღალი სამოქალაქო ღირებულების მქონე მოქალაქედ.

ხაზგასასმელია მშობელთა საბჭოების თანამშრომლობა სკოლის დირექციასთან მატერიალური საკითხების გადაწყვეტის მომენტში, ასევე მათი მჭიდრო კონტაქტი

სკოლის პედაგოგებთან, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსწავლეთა წარმატებებს.